წინამდებარე საგაზეთო სტატია წარმოადგენს საუბარს ათონის წმიდა მთის წმიდა გრიგოლის მონასტრის წინამძღვარ გიორგი კაფსანთან. საუბარი მნიშვნელოვან ეკლესიურ საკითხს ეხება და აშუქებს პაპისა და მისი მიმდევრების ამჟამინდელ და სამომავლო პოლიტიკას ევროპაში.

თარგმანი მზადდებოდა რომის პაპის საქართველოში ჩამოსვლისთვის, მაგრამ სუბიექტური მიზეზების გამო ნაშრომის დასრულება ვერ მოესწრო. მიუხედავად ხანგრძლივი პაუზისა, სტატიას აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს, რამაც გვაფიქრებინა მისი დაგვიანებით გამოცემა. საბერძნეთი ევროპის ქვეყანაა და თავად მონაწილეობს იმ პროცესებში, რაც ჩვენთვის დღეს იწყება და ჯერ სუსტად შეიმჩნევა, თუმცა "სიკეთე უცხოური თავისუფლებისა" უკვე იწვნია მართლმადიდებელმა ქართველმა ერმა. ამიტომ კიდევ უფრო საინტერესოა ათონელი ღვთისმეტყველი იღუმენის აზრის მოსმენა.

მიმდინარე პროცესები დაუნდობელია დიდი და მცირე მართლმადიდებელი ერებისადმი. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ გვმართებს სიფრთხილე, მოძმე მართლმადიდებელი ერების, ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, რათა, როგორც წმიდა იოანე ოქროპირი ამბობს: სხვასთან ღვთის მადლით შემჩნეული შეცდომა არა განკითხვის, შეურაცხყოფის, არამედ საკუთარ სულში შეცდომის გამოსწორების საბაბად გვექცეს.

ვმადლობთ დედა ღვთისმშობელს, რომლის მფარველობითაც გასრულდა ეს მცირე შრომა ახალი შუამთის დედათა მონასტერში. ვმადლობთ ყველა ერისკაცს, ვინც გულმხურვალე თანადგომა გამოუცხადა ამ საქმეს.

ვთხოვთ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს დაიცვას ეკლესია ჩვენი და ერი ჩვენი და გვასწავლოს ერთობით გალობა მამისა და ძისა და წმიდისა სულისა უკუნისამდე, ამინ.